ფეხბურთი
"სსრ კავშირის თასზე"

1936 წელს მოსკოვის "ლოკომოტივმა" სსრ კავშირის თასის" პირველ გათამაშებაში მოიპოვა ეს საპატიო ჯილდო. მაშინ რკინიგზელებს ფინალში მოუგეს თბილისის "დინამოს" ანგარიშით 2:0. მიმდინარე წლის 3 ოქტომბერს ეს გუნდები ერთმანეთს შეხვდნენ თასის პირველ წრეში. მატჩი დიდ სპორტულ ინტერესს იწვევდა, რადგან ჩემპიონატის ორ წრეში მათ ორ–ორი ქულა გაიყვეს.

მსაჯის პირველი ნიშნიდან 90 წუთის განმავლობაში მოედანზე შეუპოვარი, დაძაბულ ბრძოლა მიმდინარეობდა. მატჩი დამთავრდა თბილისელთა სასარგებლოდ ანგარიშით 1:0.

ახ. კომუნისტი 5 ოქტომბერი 1948 წ.